ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 17 სექტემბერი, 2021 №174 (8703) ფასი: 60 თეთრი



გვ.5

„თირკმელი ამოაჭრეს, კუჭი ჰქონდა გახვრეტილი, ნაწლავიც ამოუკერეს“

წყნეთში მასშტაბური სროლის შედეგად 4 ადამიანი დაიჭრა

პროკურატურა ტვ პირველში შევიდა

გვ.5

„ნიკა გონზე იყო, მითხრა, არ ვიცი, ვინ მესროლაო“

გვ.2

ვერაზე დაჭრილი 22 წლის ნიკა კვარაცხელია კლინიკაში გარდაიცვალა

მკვლელობის მოტივი მის მამასთან, კანონიერ ქურდ გია კვარაცხელიასთან ანგარიშსწორება შეიძლება იყოს

„ქართული ოცნების“ დასატოვებლად სხვა ძალებიც ემზადებიან“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „ოცნება“ და ნაციონალები ერთნი არიან“

„არ შეიძლება, ამათ ხელისუფლება დავუტოვოთ“

გვ.3

შალვა შავგულიძე: „ჩემთვის 2013 წელს ნათელი გახდა, რომ „ქართულ ოცნებას“ საზოგადოების კონტროლი და შანტაჟი სურს“

„არჩევნებიდან ერთ თვეში ვადამდელი დაინიშნება“



გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „აშშ-ის ელჩს საქართველოს ვერც ერთი სტრუქტურა ვერ მოუსმენს“

გომელაური ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებს შეხვდა

გვ.5

„დიპლომატების მოსმენა საერთაშორისო სკანდალია“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „შესაძლოა, საპროტესტო ნოტაც იყოს და ელჩის გამოწვევაც“

ISSN 1987-9385

4 გახარიამ ავსტრიაში ნარკოტესტი გაიკეთა

5 შსს-მ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 11 პირი დააკავა, 4 კი პასუხისგებაში მისცა

5 მართლწესრიგის ოფიცრებმა ისანი-სამგორის რაიონში მუშაობა დაიწყეს

6 აშშ, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია თავდაცვის პაქტს ქმნიან

„ნიკა გონზე იყო, მითხრა, არ ვიცი, ვინ მესროლაო“

ვერაზე დაჭრილი 22 წლის ნიკა კვარაცხელია კლინიკაში გარდაიცვალა

15 სექტემბერს თბილისში დაჭრილი 22 წლის ნიკა კვარაცხელია 16 სექტემბერს, დილით, კლინიკაში გარდაიცვალა.

ნიკა კვარაცხელია ხეჩინაშვილის კლინიკაში გულმკერდის არეში მიყენებული მძიმე ჭრილობებით შეიყვანეს. პაციენტს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

22 წლის ნიკა კვარაცხელიას ვერაზე, ანჯაფარიძის ქუჩაზე გაუსწორდნენ.

შემზარავი ამბის თვითმხილველი „პირველებს“ უყვება, რომ 9 ტყვიით დაჭრილი ახალგაზრდა საავადმყოფოში საკუთარი მანქანით წაიყვანა. კვარაცხელია კლინიკაში მიყვანამდე გონზე იყო.

მსხვერპლი ამბობდა, რომ თავდამსხმელს არ იცნობდა და არ იცოდა, რატომ გაწირეს სასიკვდილოდ.

– ოფისში ვმუშაობდი, როცა სროლის ხმა გავიგე, იდენტიფიცირება მოვახდინე, რომ სავარაუდოდ გასროლა მოხდა

პისტოლეტიდან. დაახლოებით ერთ წუთში უკვე დაჭრილთან ვიყავი. დავინახეთ, რომ ძირს ეგდო, დაჭრილის ავტომობილით გადავიყვანეთ კლინიკაში, – აცხადებს თვითმხილველი.

მისი თქმით, კვარაცხელიას ავტომობილს 2 ნატყვიარი ეტყობოდა, თავად დაჭრილი კი სასწრაფო დახმარებას ითხოვდა:

– გონზე იყო, თავიდან სასწრაფო დახმარება ითხოვა. კონტაქტური იყო, სახელი და გვარი ვკითხეთ. ამბობდა, არ ვიცი, ვინ იყო და რა უნდოდაო.... მხოლობითში საუბრობდა ძირითადად, – უთხრა მედიას საქმის მთავარმა მოწმემ.

ნიკა კვარაცხელია პლატფორმა ფიდსის დამფუძნებელია.

ფიდსი ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული პლატფორმაა, რომელიც ხალხს მსოფლიო მასშტაბით ინფორმაციის გაცვლის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს.

კანონიერი ქურდის, გია კვარაცხელიას, შვილს თბილისის ცენტრში 9 ტყვია ესროლეს.

მკვლელობის მოტივი მის მამასთან, კანონიერ ქურდ გია კვარაცხელიასთან ანგარიშსწორება შეიძლება იყოს

რუსთავი 2-ის ცნობით, გია კვარაცხელია კანონიერ ქურდად 24 წლის ასაკში, 1988 წელს თბილისელმა კანონიერმა ქურდებმა პაატა ჩლაიძემ და გოგი ჩიქოვანმა მონათლეს.

კრიმინალური კარიერის განმავლობაში ის არაერთხელ არის ნასამართლევი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ბოლოს გია კვარაცხელია კიევში დააპატიმრეს და თურქეთში გააძევეს. ბოლო ინფორმაციით, ის ამჟამადაც სტამბოლში ცხოვრობს.

მას წლების განმავლობაში დაპირისპირება ჰქონდა კანონიერი ქურდების სოხუმის კლანთან.

„კურიერმა“ გაარკვია, რომ ვერაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული, სავარაუდოდ, დაქირავებული ქილერია.

მკვლელობა, სავარაუდოდ, გია კვარაცხელიას საქმიანობას უკავშირდება. „კურიერის“ ინფორმაციით, მკვლელობის შეკვეთა სხვა ქვეყნიდან მოხდა.

საქმეში ასევე ფიგურირებს გია კვარაცხელიასთან დაპირისპირებული კიდევ ერთი კრიმინალური ავტორიტეტის ოჯახი.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 236-ე მუხლით დაიწყო, რაც მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ დასატოვებლად სხვა ძალებიც ემზადებიან“

შალვა ხაჭაპურიძე: „ოცნება“ და ნაციონალები ერთნი არიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სიტუაციაც სულ უფრო მეტად იძაბება, კომპრომატების ომი, კრიმინალის ზრდა. რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს? ხელისუფლება მოსმენებს ოპოზიციას აბრალებს და როგორ, ხელისუფლებაში ხომ თავად არიან?

– პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ მოსმენას აწარმოებს ხელისუფლება, სუსის შესაბამისი დანაყოფი. რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო სუსის ხელმძღვანელობა. ვერ გეტყვით, მოქმედი პრემიერი არის თუ არა საქმის კურსში. ეს ჩანაწერები განხორციელებულია კვირიკაშვილის დროსაც, ღარიბაშვილის დროსაც, გახარიას დროსაც. ახლა რამდენად იყო ეს ხალხი საქმის კურსში, სიმართლე გითხრათ, არ ვიცით. მეეჭვება, რომ გარკვეულ საკითხებს საერთოდ არც კი აგებინებენ პრემიერ-მინისტრებსა და მინისტრებს. კი ბატონო, არის მინისტრთა კაბინეტი, არის პარლამენტი, მისი თავმჯდომარე, მაგრამ რეალურად მმართველები სხვა ადამიანები არიან. სამინისტროში შეიძლება კაცი არც მუშაობდეს და რეალურად ის იყოს ამ სამინისტროს მმართველი, ანუ რაღაც ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტი არსებობს ქვეყანაში. ჩრდილოვანი უშიშროება, ჩრდილოვანი სამსახურები. შესაბამისად, ამას ახორციელებდა ლილუაშვილის სამსახური და ლილუაშვილი ვის ექვემდებარებოდა, ან სულაც, შესაძლოა, ისიც არ ყოფილიყო საქმის კურსში.

– მის გარეშე მოხდებოდა ეს ყველაფერი?

– სრულიად შესაძლებელია, დამიჯერეთ. შესაძლოა, სულაც სხვა ადამიანს გაჰქონდა ეს ინფორმაციები მისთვის, ვისაც ამის ინტერესი გააჩნდა. ცალსახაა, რომ ეს მასობრივი და ტოტალური მოსმენები სისხლის სამართლის დანაშაულია. მეორე მომენტია, ვინ გამოიტანა ეს ჩანაწერები.

– ვის უნდა გამოეტანა?

– გამოვრიცხავ, რომ ვიღაც ერთი თანამშრომლის გამოტანილი იყოს ეს ინფორმაცია, რომელმაც მერე თავი მოიკლა თუ რაღაც გარემოებაში გარდაიცვალა. ძალიან მეეჭვება. უფრო მგონია, გარკვეული სპეცსამსახურების მიერაა გაკეთებული, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, ამოაყირაონ „ქართული ოცნება“ და ეს უფრო რუსეთი მგონია. რუსეთის სპეცსამსახურებმა გამოიტანეს ეს ინფორმაცია და მიაწოდეს ჟურნალისტებს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ დაგეგმილია „ქართული ოცნების“ ჩანაცვლება სხვა პოლიტიკური ძალით, რომელიც გააგრძელებს იმ საქმეს, რომელსაც თავი ვერ მოაბა ამ ხელისუფლებამ, კერძოდ, საქართველოს რუსეთში საბოლოოდ გაწევრიანებას.

– ანუ კონკრეტული მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, ფიქრობთ, შუაში არ არის?

– რა თქმა უნდა, არა. შესაძლოა, რაღაც დონის ინფორმაციები ჰქონდათ, მაგრამ ვერანაირი ზეგავლენის მოხდენას ვერ შეძლებდნენ.

– რატომ შეირჩა მაინცდამაინც ეკლესია?

– ეკლესია იმიტომ, რომ ყველა გამოკითხვით ეკლესია ლიდერობს, პირველ ადგილზეა. ხომ ვხედავთ, რა დონის ინფორმაციებია ჩაწერილი, რომლებიც ეკლესიას ძალიან აზიანებს.

– ხელისუფლება ხელს ნაცმოძრაობისკენ იშვერს...

– სისულელეა. ეს ახალი ჩანაწერებია. ნაცმოძრაობას ეს ჩანაწერები რომ ჰქონოდა, სალომე ზურაბიშვილის არჩევნები იყო წკიპზე, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში აუცილებლად გამოიყენებდა. არ ჰქონდათ და როგორ გამოიყენებდნენ? ან ოპოზიციამ როგორ უნდა ჩაიწეროს ეს ყველაფერი?! ამდენი ფაილის გამოტანა ერთი ადამიანის გაკეთებული არ არის. ეს არის სხვა სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ შესრულებული სამუშაო. არ გამორიცხოთ ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილზეც იყოს ჩანაწერები, თუმცა ამ ჩანაწერებს ქართული მხარე აკეთებდა.

– ცუდი მემკვიდრეობა მიიღო და გააგრძელა „ქართულმა ოცნებამ“ წინა ხელისუფლებისგან. თვალთვალი, მოსმენები, ჩანაწერები. ეს რით დამთავრდება?

– არაერთხელ მითქვამს, როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ დაამთავრა ცუდად, იმაზე ცუდად დაამთავრებს „ქართული ოცნება“. უბრალოდ, ის აგრესია, რომელიც ნაცმოძრაობისკენ იყო მიმართული, ამჟამად გადავა „ქართულ ოცნებაზე“ და მეეჭვება, რაიმე კოჰაბიტაციის პროექტი განხორციელდეს. ამ შემთხვევაში დამნაშავეებს აუცილებლად მოუწევთ მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა და მრავალი წელი ციხეში ყოფნა. აგერ მე და აგერ თქვენ, ნახავთ, ეს როგორ ახდება. თუ რაიმე ცუდი იყო ნაცმოძრაობის დროს, ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გადმოიტანა, გადმოიბარეს ბიზნესები, ბიზნესმენები, ოფშორები და ასე შემდეგ, გააგრძელეს იგივე საქმე. ამათაც თავიანთი კეზერაშვილები და ახალაიები ჰყავთ. ძალიან ცუდად მოუწევთ დამთავრება. პარტნიორი ქვეყნის საელჩოებს უსმენენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება. ეს ასე მარტივად არ დამთავრდება.



– „ოცნება“ ცდილობს, გამოძვრეს ამ სიტუაციიდან და გახარიასა და ხოჯევანიშვილს გადააბრალოს ეს ყველაფერი.

– გახარიამდე და ხოჯევანიშვილამდე სხვები ჰყავდათ ხელისუფლებაში. ახლანდელი პრემიერ-მინისტრი რატომ არ არის ეჭვქვეშ? ვისი დავალებით გაკეთდა ეს ყველაფერი? მეტი არაა ჩემი მტერი, ამის ჩაწერა-არჩაწერა ღარიბაშვილისთვის ეკითხათ. მეტი საქმე არა აქვს ბიძინა ივანიშვილს, მაგისგან აიღოს ნებართვა.

– თქვენ ფიქრობთ, ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ დაგეგმილია ხელისუფლების ცვლილება?

– რა თქმა უნდა. ამით ბიძინა ივანიშვილს უთხრეს რუსებმა, ჭკუით იყავით, თორემ უარესს დაგმართებთო.

– ამბობენ, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ახალი კომპრომატების ფრიალი წავა. ელოდებით რაიმე ასეთს?

– თუ „ოცნება“ არ დათმობს და სავარძლებს ჩაებღაუჭება, მაშინ კიდევ უარესს დამართებენ. რუსებმა შევარდნაძე ამოაყირავეს და ეს რა პრობლემა იქნება. ასე რომ, ახალ პროვოკაციებს უნდა ველოდოთ.

– ბატონო შალვა, კრიმინალური ფონიც უაღრესად მძიმეა. პირდაპირ ქუჩაში ცხრილავენ ხალხს. ამასთან დაკავშირებით რის თქმა შეგიძლიათ?

– რაც გუშინ მოხდა, ძალიან დიდი ტრაგედიაა. ბავშვია ჩაცხრილული. არ ვიცი, ეს ყველაფერი სადამდე და როგორ მივიდა, თუმცა ყველაფერი პროგნოზირებადი იყო და უკვე დიდი ხანია, ამაზე ვსაუბრობ. შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ სტატისტიკაზე მუშაობს. სტატისტიკაა მათთვის მთავარი. არ ხდება დანაშაულის პრევენციები, მით უმეტეს, ხომ ვხედავთ, რამხელა რესურსი გააჩნიათ, რამდენი რამის მოსმენა, თვალთვალი. არ იციან მუშაობა. ერთია, რომ საქმე გვაქვს არაპროფესიონალიზმთან და მეორე – რუსეთის აგენტურასთან, რომლებსაც დავალებული აქვთ, მოანგრიონ და მოშალონ მთელი სახელმწიფო ინსტიტუციები. ამ ყველაფერს კი უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

– ამბობთ, რომ „ოცნების“ ჩანაცვლება უნდა მოხდეს. ვისით შეიძლება ჩანაცვლდეს „ქართული ოცნება“?

– ვისაც საჭიროდ ჩათვლიან, იმით ჩაანაცვლებენ. მაქვს გარკვეული ეჭვები, მაგრამ ამაზე ჯერ არ ვილაპარაკებ.

– მიშა აქტიურობს, ჩამოსვლას აანონსებს. რამდენად არის ნაციონალების მობრუნების შანსი?

– ჯერ ერთი, მოდით, ის ვთქვათ, რომ ნაციონალები არსად არ წასულან. „ოცნება“ და ნაციონალები ერთნი არიან. მობრუნებულები არ არიან? მიშაზე თუა საუბარი, მასაც შეეხება ამნისტია და ალბათ ისიც ჩამოვა. ახალი ძალაც ალბათ მმართველი პარტიის წიაღიდან წარმოიშობა, როგორც წინა ხელისუფლებების დროს. შევარდნაძის წიაღიდან წარმოიშვა სააკაშვილი, ხოლო სააკაშვილის წიაღიდან – „ქართული ოცნება“, იმიტომ რომ სააკაშვილი და ივანიშვილი ერთნი იყვნენ. ახლა „ქართული ოცნების“ წიაღიდან წარმოშობს რუსეთი ახალ ძალას. დაველოდოთ. ერთი რამ ცხადია – საქართველოში დასავლური ძალა არ არსებობს, ყველა რუსეთის ორბიტაზეა მოთამაშე. ამის უამრავი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ. დასავლეთი აქ ფულს დებს ინსტიტუციების შექმნაში, ხოლო პარტიების შექმნას რუსეთი აფინანსებს და ხელისუფლებაშიც მას მოჰყავს.

– ამ არჩევნების შემდეგ ცვლილებები მოსალოდნელია?

– ამ არჩევნების შემდეგ ვადამდელი არჩევნები იქნება. ეს გარდაუვალია. მე მაქვს ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნების“ დასატოვებლად სხვა ძალებიც ემზადებიან. ამ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეონერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„არ შეიძლება, ამათ ხელისუფლება დავუტოვოთ“

შალვა შავგულიძე: „ჩემთვის 2013 წელს ნათელი გახდა, რომ „ქართულ ოცნებას“ საზოგადოების კონტროლი და შანტაჟი სურს“

ნათია ხურცილავა

იურისტი, პარლამენტის დეპუტატი, ფრაქცია „ლელოს“ წარმომადგენელი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო შალვა, ფარულ მოსმენებზე ყოფილი პრემიერი გახარია აცხადებს, რომ მან არ იცოდა ამის შესახებ. როგორ ფიქრობთ, ვინ ახორციელებდა ამ მოსმენებს და რამდენად არის ეს ქვეყნის, ამ საზოგადოების პრობლემა?

– რასაკვირველია, ძალიან დიდი პრობლემაა ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის, როდესაც უსაფრთხოების სამსახური უკანონო თვალთვალითა და მიყურადებით არის დაკავებული. ვინ ახორციელებდა? პასუხი ცალსახაა – „ქართული ოცნების“ ხელისუფლება. სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, რომ ხელისუფლება ამ მასშტაბის უკანონო თვალთვალსა და მოსმენას ახორციელებს.

– რატომ?

– ჩემთვის 2013 წელს ნათელი გახდა, რომ „ქართულ ოცნებას“ სურდა, საზოგადოების კონტროლისა და შანტაჟის ეს უკანონო და უღირსი ბერკეტი შეენარჩუნებინა. თუ გახსოვთ, „ქართული ოცნება“ როდესაც მოვიდა ხელისუფლებაში, დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ ე.წ. გასაღები ვის ხელში უნდა ყოფილიყო. წინა ხელისუფლების დროს არავითარი სტანდარტი არ არსებობდა. მაშინ პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს დაევალა კანონპროექტის მომზადება და მე გახლდით სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. ერთ წელზე მეტი ვიმუშავეთ კანონპროექტზე. ევროსაბჭოს ორი წამყვანი სპეციალისტი ჩავრთეთ. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი რეგულაციები შევიმუშავეთ, თუმცა უკვე ვგრძნობდით ძალიან დიდ წინააღმდეგობას.

– კონკრეტული წინააღმდეგობა ვისგან შეგხვდათ?

– პრემიერ-მინისტრი მაშინაც ირაკლი ღარიბაშვილი იყო. პირდაპირ გამოვიდა ღარიბაშვილი და განაცხადა, რომ ეს კანონპროექტი ანტისახელმწიფოებრივი იყო, რომ სახელმწიფოს უშიშროებასა და უსაფრთხოებას ზიანს მოუტანდა. უკვე ჩანდა, რომ საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი კანონის მიღება არ სურდათ. ძალიან აქტუალური იყო მაშინ ეს საკითხი. საზოგადოების, საერთაშორისო პარტნიორების მოთხოვნა იყო, რომ კანონპროექტი დროულად მიგვეღო. სხდომებზე პროკურატურის წარმომადგენელი, მახსოვს, ნაცვლიშვილი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, უბრალოდ, აღარ მოდიოდნენ. შატალოსავით სხდომებს აცდენდნენ.

ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, კანონპროექტი ამ რეგულაციებით მაშინდელმა პარლამენტმა მაინც მიიღო, მაგრამ ე.წ. გასაღების საკითხი კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ის დროებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა, ხოლო როდესაც შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გამოეყო, მოსმენების გასაღები სუსის ხელში აღმოჩნდა. მაშინ ამბობდნენ, რომ ცალკე უწყება უნდა შექმნილიყო, მაგრამ დღეს იმ მაღალი სტანდარტის რეგულაციების გვერდის ავლით სუსს უფლება აქვს, როცა უნდა, ჩართოს მოსმენაზე ნებისმიერი ადამიანი.

– აწყობდა კი დღეს ხელისუფლებას ამის გარეთ გამოტანა? როგორი უნდა იყოს ხელისუფლების ადეკვატური პასუხი, თუ ელოდებით ასეთ პასუხს?

– პასუხს ნამდვილად არ ველოდები. ნორმალურ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, არ აწყობს. ხელისუფლებას არც ის უნდა აწყობდეს, რომ ასეთი უკანონო ჩაწერა და თვალთვალი განახორციელოს. ხომ იცით, ციხე შიგნიდან ტყდებაო! როდესაც ბევრი მანკიერება გროვდება, ის მერე ჟონავს. რამდენ ხანს დამალავ ამ უკანონობას?! საბჭოთა კავშირს იმხელა რკინის ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩამოიშალა. იგივეა ახლაც. ეს არის გამოჟონილი ინფორმაცია. კონკრეტულად ვისგან, არ ვიცი. ერთი, რაც ვიცი, ყველა ეს ჩანაწერი არის უკანონო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ჩაწერა განხორციელდა კანონის დაცვით, მოსამართლის გაცემული სანქციის საფუძველზე.

– ამ ფონზე როგორ შეაფასებთ პოლიტიკურ პროცესს, მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?

– არ შეიძლება, ამათ ხელისუფლება დავუტოვოთ. ხვალ გამოჟონავს კიდევ სხვა მანკიერება და რა ვქნათ მერე?! ამას საზოგადოების რეაგირება სჭირდება. ამისთვის კი საზოგადოებას ერთი დღე ეძლევა. ეს არის არჩევნების დღე, როდესაც სწორედ მის ხელშია ხელისუფლების ბედი. ეს ერთი დღე სწორად უნდა გამოიყენოს საზოგადოებამ. თუ გვინდა, ყველგან გვითვალთვალებდნენ, მათ შორის საძინებელშიც, მაშინ დავტოვოთ ეს ხელისუფლება. ძალიან მარტივია პასუხი: ამ ყველაფრიდან შეგვიძლია დავასკვნათ, როგორ იცის ქვეყნის მართვა „ქართულმა ოცნებამ“. ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, თუ არჩევნები გააყალბეს? შეიძლება, ერთი, ორი გააყალბონ, მაგრამ, თუ სამი მილიონი ამომრჩეველი მივა საარჩევნო ურნასთან და იტყვის, არა – ის იქნება არა!

„დიპლომატების მოსმენა საერთაშორისო სკანდალია“

ნიკა ჩიტაძე: „შესაძლოა, საპროტესტო ნოტაც იყოს და ელჩის გამოწვევაც“

იაგო ნაცვლიშვილი

გახდება თუ არა ცნობილი, საერთაშორისო სკანდალი თუ დადასტურდება, რომ სუსი ელჩებსაც უსმენდა და რას მოიმოქმედებს დასავლეთი ამ შემთხვევაში? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.



– რა შედეგს გამოიწვევს ის ფაქტი, რომ თურმე დიპლომატებსაც უსმენდნენ და ეს ირიბად აღიარა კიდეც პრემიერმა. გახდება თუ არა ეს საერთაშორისო სკანდალის საფუძველი?

– კი, ჩემი აზრით, არსებობს წინაპირობა იმისა, რომ ამ მოსმენების ფაქტებს მოჰყვეს დიდი გამოხმაურება და აჟიოტაჟი საერთაშორისო ასპარეზზე. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დააბრალოს ეს ოპოზიციას, რომ თურმე ოპოზიცია მონაწილეობდა ამ პროცესში, ან დააბრალოს გიორგი გახარიას, ის თავის პასუხისმგებლობას მაინც ვერ გაექცევა. რეალობაა, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა.

კი ბატონო, მოსმენები ხორციელდებოდა გიორგი გახარიას პრემიერობის დროს, თუმცა იმ პერიოდში ის იყო საქართველოს პრემიერი და ხელისუფლებას წარმოადგენდა, მაგრამ მოსმენები ხორციელდებოდა მაშინაც, როდესაც გახარია არ იყო პრემიერ-მინისტრი, ანუ მანამდეც და შემდგომაც.

– იმას უსვამთ ხაზს, რომ მთლიანად გახარიას ვერ შეაწმენდენ ხელს?

– რა თქმა უნდა. მაგრამ ესეც „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობაა, როდესაც მის დროს კეთდებოდა ჩანაწერები. ბოლოს და ბოლოს, გახარიამ აღიარა, რომ 20 ივნისს სწორედ მან გასცა ბრძანება, მოსახლეობისთვის რეზინის ტყვიები დაეშინათ და მას არათუ გადადგომა მოსთხოვეს, არამედ, პირიქით, პრემიერ-მინისტრად დააწინაურეს. აქედან გამომდინარე, სწორედ ხელისუფლება აფარებდა მას ხელს და გახარია იყო ხელისუფლების საყრდენი. გახარიას გარდა, სხვებიც მონაწილეობდნენ ამ სკანდალში, რომელიც მოსმენებს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსმენების საკითხი დიდი აჟიოტაჟის საგანი იქნება. მაქსიმუმი აღბათ საერთაშორისო სკანდალია.

– ჩვენი პარტნიორები რას მოიმოქმედებენ, თუ დადასტურდა, რომ მათაც უსმენდნენ?

– მანამდე დასავლელი პარტნიორების მხრიდან პასიურობა შეინიშნებოდა. ერთადერთი გაბედული ნაბიჯი გადადგეს მათ და არც კი ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი საქართველოსთვის. მხედველობაში მაქვს 70– მილიონიანი ტრანშის შეჩერება. ხელისუფლება კი ამბობს, რომ თავად თქვა უარი, მაგრამ ვიცით, რომ შარლ მიშელმა გააფრთხილა კიდეც ღარიბაშვილი.

– ანუ ასეთი აქტივობები იქნება დადასტურების შემთხვევაში?

– კი, მე ასე მგონია, რომ უნდა გააააქტიურონ ეს საკითხი და პერსონალური სანქციები დააკისრონ სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რაც მაგალითიც უნდა იყოს „ოცნების“ ამომრჩევლისთვის, რომელიც „ოცნებას“ მხარს უჭერს, ყველაფრის მიუხედავად.

– არ იქნებიან საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნები დაბარებული და პასუხებს არ მოსთხოვენ?

– კი ბატონო. შესაძლოა, პირველ რიგში ელჩები დაიბარონ ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო უწყების წარმომადგენლებმა. ასე ხდება ხოლმე, როდესაც ერთი ქვეყანა მეორეს გარკვეულ დიპლომატიურ პროტესტს უცხადებს. ამ შემთხვევაში პირველი ეტაპია ელჩის დაბარება.

– საპროტესტო ნოტასაც ხომ არ უნდა ველოდოთ?

– შესაძლებელია, რომ საპროტესტო ნოტაც იყოს. ეს უკვე მეორე ეტაპია. მესამე ეტაპია ელჩის გაწვევა და მეოთხე – დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა.

– აქამდეც შეიძლება, მივიდეს საქმე?

– იმედი მაქვს, რომ არ მივა და ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ქვეყანა. ყოველ შემთხვევაში, ელჩებს რომ დაიბარებენ, ეს ასე უნდა მოხდეს. ელჩები უნდა დაიბარონ. მეორე შემთხვევაა, რომ საკუთარი ელჩები რაღაც დროის განმავლობაში გაიწვიონ ქვეყნიდან და ამ გზით მოაწყონ დიპლომატიური დემარში, მაგრამ მე ასე მგონია, რომ ქართველი მაღალჩინოსნების მიმართ პერსონალური სანქციები უნდა ამოქმედდეს.

– პრემიერის გუშინდელი განცხადება როგორ უნდა გავიგოთ, რომელიც ამბობს, რომ ეს ჯერ უნდა დადასტურდეს, მაგრამ აქვე ამბობს, რომ ბევრი ქვეყანა ასე იმართება, რომ ელჩებს უსმენენ?

– ეს ნიშნავს იმას, რომ პრემიერი აკეთებს ანტისახელმწიფოებრივ განცხადებას და მინიშნებაა იმავე „ვიკილიქსის“ სკანდალზე. ფაქტია, რომ თუ ამერიკაში ხორციელდებოდა თვალთვალი, ის არის დემოკრატიული სახელმწიფო და ეს ხდებოდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ქვეყნის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. საქართველოში კი რეალურად ხდებოდა ოპონენტების თვალთვალი, ასევე – საკუთარი თანაგუნდელების თვალთვალი შემდგომში მათი კონტროლისა და შანტაჟის მიზნით. ღარიბაშვილი ნელ-ნელა იქითკენ იხრება, რომ ხელისუფლება აკეთებდა ამას.

– ფაქტობრივად, ირიბი აღიარება უკვე ვნახეთ.

– კი, ბევრი ქვეყანა იმართებაო, მაგრამ, გააჩნია, რა მიმართულებით. იმავე ამერიკაში 11 სექტემბრის შემდეგ მიიღეს აქტი, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს მოსმენებს, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

– ჩვენთანაც ხომ არ უნდა წარმოადგინონ მყარი არგუმენტები, რას ემსახურებოდა ასეთი მასობრივი თვალთვალი – რა აღკვეთეს ამ მოსმენებით სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით?

– მოსმენებზე კონსტიტუციაში გვიწერია, რომ ის იკრძალება, გარდა კანონით გათვალისწინებული აუცილებლობისა. ამაში იგულისხმება ქვეყნის ინტერესების დაცვა. გარკვეულმა უწყებებმა უნდა მოიპოვონ სადაზვერვო ინფორმაცია, მაგრამ ამისთვის საჭიროა უსაფრთხოების რისკის დადასტურება. მაგრამ, როდესაც ოპონენტების თვალთვალია, ეს უკვე ანტიდემოკრატიულია. ეს არის მთავარი, რა მიზანს ემსახურება მოსმენები და ვინ არის მოსმენების ობიექტი – სასულიერო პირები, ხელისუფლების წარმომადგენლები თუ ოპოზიცია და ათასობით ჩვენი თანამოქალაქე?! აქ რეალურად ჩანს, რომ ხელისუფლებას სურს, ქვეყანა ავტორიტარული გზით მართოს.

– ექნება თუ არა ამ ყველაფერს გავლენა არჩევნებზე?

– გარკვეული გავლენა ექნება, მაგრამ, ვინც „ოცნების“ ამომრჩეველია, ის მაინც მისცემს „ოცნებას“ ხმას. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა არც ამას, არც კორცხელის ინციდენტს ან თუნდაც 20 ივნისის მოვლენებს. მიმაჩნია, რომ „ოცნების“ რეიტინგზე უფრო მეტად იმოქმედებს გახარიას პარტიის შემოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე, იმიტომ რომ ეს პარტია სადღაც 8-10%-ს აიღებს, შესაბამისად, „ოცნება“ კარგავს ხმებს.

– გახარიას პარტიაზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს მოსმენების სკანდალი, რადგანაც სწორედ მისკენ ხდება ისრების გადასროლა?

– კი, ხელისუფლება ამ მიმართულებით მუშაობს, თითქოს გახარია აკეთებდა ამ ყველაფერს, მაგრამ, ასე მგონია, რომ ის მოქალაქეები, რომლებიც გახარიას აძლევდნენ ხმას, მაინც მას მისცემენ, ვინაიდან, ერთი მხრივ, „ოცნებაზე“ განაწყენებული არიან და, მეორე მხრივ, არ უნდათ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება. მოსმენები გარკვეულ გავლენას მოახდენს არჩევნებზე, თუმცა შედეგზე გახარიას ფაქტორი უფრო მოახდენს გავლენას, ვიდრე მოსმენები. მაგრამ მოსმენები გავლენას მოახდენს საერთაშორისო ასპარეზზე, თუ დადასტურდება, რომ საელჩოების წარმომადგენლებს უსმენდნენ. ახლა დასავლეთის პრინციპულობაზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

ლევან აბლოთია: „ჭიდაობასა და ხელის კვრაში წონასწორობა დავკარგე და გადავვარდი“

„მთავარის“ ოპერატორი კლინიკიდან გაწერეს

ქარელში დაშავებული „მთავარი არხის“ ოპერატორი ლევან აბლოთია „ნიუ ჰოსპიტალიდან“ გაწერეს.

„მთავარი არხის“ ჟურნალისტის ინფორმაციით, ოპერატორი „ქართული ოცნების“ ოფისის მეორე სართულიდან გადმოაგდეს. მმართველი პარტიის ოფისში კი ამბობენ, რომ ურთიერთშელაპარაკების დროს ოპერატორი შემთხვევით გადავარდა.

– აივანზე ვიყავით, ესენი შიგნით იყვნენ, შუქიც ჩააქრეს და შემდგომ უკვე, როდესაც მე და ბექა სტენდაფს ვწერდით, გამოვარდა 4 თუ 5 ადამიანი. ზოგი უკნიდან კამერის წართმევას ცდილობდა, ზოგი – წინიდან და ვარიდებდი თავს. უკან-უკან მივდიოდი, იმიტომ, რომ მინდოდა, დისტანცია მქონოდა იმ აგრესორ ადამიანსა და ჩემ შორის, მოაჯირი ყოფილა უკან და ამ ჭიდაობაში, ხელის კვრაში მე წონასწორობა დავკარგე და გადავვარდი, – განაცხადა ლევან აბლოთიამ.

შემთხვევის ამსახველი ვიდეომასალა ტექნიკის დაზიანების გამო არ არსებობს. გამოძიება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობით მძიმე დაზიანების მუხლით მიმდინარეობს.

„არჩევნებიდან ერთ თვეში ვადამდელი დაინიშნება“

მირიან მირიანაშვილი: „აშშ-ის ელჩს საქართველოს ვერც ერთი სტრუქტურა ვერ მოუსმენს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილს.



– ფარული ჩანაწერები ისევ აქტუალურია. ხელისუფლების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ საიდუმლო ფაილების გავრცელების უკან გახარიას გარემოცვა დგას. როგორ აფასებთ ამ სიტუაციას?

– ჩანაწერების გავრცელებას დიდი აყალმაყალი მოჰყვა. რა თქმა უნდა, კერძო საიდუმლოების დარღვევა ცუდია. ჩემი აზრით, რეალურად, ისეთი არაფერი მომხდარა, რაც ცვლის სიტუაციას. გამოქვეყნებული მასალები არასერიოზულად გამოიყურება. როცა წინასაარჩევნოდ მსგავსი რამ ხდება, ამის მიზანია რომელიმე საარჩევნო სუბიექტის დისკრედიტაცია. გამომზეურებულ ფარულ ჩანაწერებს არც ერთი საარჩევნო სუბიექტი არ დაუზიანებია.

– ფაილების ფიგურანტი სასულიერო პირები რომ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ხელისუფლების მიმართ?

– სასულიერო პირებს საქართველოში შემწყნარებლურად ექცევიან. პირდაპირ ვიტყვი – მათ პასუხისგებაზე არაოფიციალურად ტაბუა გამოცხადებული. საქართველო ჯერჯერობით იმყოფება რუსეთის პოლიტიკური კონტროლის ქვეშ. ამ მიმართულებით საქართველოში რუსეთის წესები მოქმედებს. იქაც, ფაქტობრივად, ხელშეუხებელია სამღვდელოება. შარშან რუსეთის ფედერაციაში სულ 9 მღვდელი იხდიდა სასჯელს. სააკაშვილის დროს პენიტენციარულ სისტემაში მოქცეული იყო 300.000-მდე პირი (პატიმარი და პრობაციონერი). მათგან სასულიერო პირი სულ რამდენიმე იყო და თითებზე ჩამოითვლებოდა.

– სამღვდელოებას რომ უთვალთვალებენ და უსმენენ, ფაქტია.

– ეს ხდება იმიტომ, რომ შენარჩუნდეს მათი მართვის ბერკეტები და დაიდოს დამატებითი კომპრომატები. სამღვდელოებას ციხეში ძალიან იშვიათ შემთხვევებში უშვებენ. შეიძლება ითქვას, თუ მღვდელმა კაცი არ მოკლა, მას არავინ დააპატიმრებს. ასეა რუსეთში და საქართველოში.

– საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროება ადვილი აღმოჩნდა.

– სინამდვილეში, ეს რთული უნდა ყოფილიყო ერთი ადამიანისთვის. დაცული ფაილების გადმოწერა შეეძლო სუსის ხელმძღვანელობას. უნდა ყოფილიყო ორი პირი მაინც, რომელიც ერთდროულად პაროლებით შევიდოდა და ამას გააკეთებდა. თუ ასეთი რამ მოხდა, ეს სახელმწიფოს ღალატის დონის დანაშაულია. ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ყველა კომპანიას აქვს დამცავი სისტემა და ინფორმაციის შენახვის უზრუნველყოფა. საქართველოში მაღალი დონის დაცვის სერვერები მხოლოდ სუსს შემოაქვს. საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა ექნებოდა მაქსიმუმ 8 კაცს ახლანდელი და ყოფილი პასუხიმგებელი პირებიდან. პროკურატურა მომხდარს იძიებს. ეს ღიმილისმომგვრელია.

„5 წუთში შეიძლება დადგენა, ვინ როდის გადაიწერა ინფორმაცია“

– რატომ?

– ამის გამოკვლევა 5 წუთში შეიძლება. ძალიან ცოტა დრო სჭირდება იმის დადგენას, ვინ როდის გადაიწერა ინფორმაცია. ალბათ, ვიღაცას ინტერესანტების დაშანტაჟების საღერღელი აეშალა და ასე იმიტომ მოიქცა. როგორც გითხარით, საარჩევნო სუბიექტებზე ამ ყველაფერს გავლენა არ მოუხდენია.

– ოპოზიცია ამბობს, რომ საქართველოში ტოტალური კონტროლია. ტოტალური კონტროლი ჩრდილოეთ კორეაზე მსმენია.

– გამოთქმა „ტოტალური კონტროლი“ სხვა რამეს გულისხმობს და ოპოზიცია მას არასწორად იყენებს. მისი შეფასებაც მცდარია. საქართველოში უსმენენ გარკვეულ ჯგუფებს – პოლიტიკასთან დაკავშირებულ პირებს, სამღვდელოებას, ბიზნესმენებს. შეიძლება ითქვას, თუ გისმენენ, რაღაცას წარმოადგენ. ის, რომ ტელეფონები ისმინება და ტელეფონით საიდუმლო არ უნდა თქვა, ახლანდელი მიგნება არ არის. ეს საყოველთაოდ ცნობილია.

– დიპლომატებსაც რომ უსმენენ?

– საქართველოს ვერც ერთი სტრუქტურა ვერ მოუსმენს აშშ-ის ელჩს. საამისო აღჭურვილობა არ არსებობს. საელჩოში ქართველებიც მუშაობენ. ისინი საუბრობენ ტელეფონებით. მათი მოსმენა შესაძლებელია. საიდუმლოებებს ეს თანამშრომლები არ ფლობენ. რასაკვირველია, რუსები ბევრს ჩალიჩობენ საქართველოში ამერიკელების წინააღმდეგ. არა მგონია, რომ აშშ-ის საელჩოს ქართველმა თანამშრომლებმა რუსებს საკუთარი თავი გამოაყენებინონ. ეს უკიდურესად სარისკოა და ეს ადამიანები ამას ვერ გაბედავენ.

– ადრე გვამცნეთ, რომ მოსკოვში სურკოვთან 15 სექტემბრიდან იქმნება შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებს რევოლუციას საქართველოში. დღეს რას იტყვით?

– ასეთი რევოლუციური შტაბები ყოველ არჩევნებზე იქმნება. საქართველოში ყოველი არჩევნების დროს და შემდეგ რუსეთს აქვს რევოლუციური ქაოსის მოწყობის გეგმები. ტრადიციულად, ამ გეგმების ერთ-ერთი საფეხურია სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნა.

– სააკაშვილი ირწმუნება, რომ ამჯერად ნამდვილად ჩამოდის.

– სააკაშვილის მოვლინება მხოლოდ თვით სააკაშვილზე არაა დამოკიდებული. იმისთვის, რომ მან აქ ფეხი მოიკიდოს, აუცილებელია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ მისი შეწყალება. რამდენადაც ინფორმირებული ვარ, სალომე ზურაბიშვილს ამაზე დაელაპარაკნენ.

– ვინ დაელაპარაკა პრეზიდენტს?

– ამას ვერ გეტყვით. სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ გარანტიები სჭირდება. მას უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მის გადაწყვეტილებას შეწყალებაზე ლოიალურად შეხვდებიან აშშ და საფრანგეთი. ცხადია, ამგვარ გარანტიას ვერავინ გასცემს. სააკაშვილი რომ საქართველოში ჩამოვიდეს, მას უნდა მოეხსნას სისხლისსამართლებრივი დევნა. იმისთვის, რომ შეიწყალოს სააკაშვილი, პრეზიდენტ ზურაბიშვილს ესაჭიროება აშშ-ის ელჩის დასტური. ეს რომ მოხდეს, აუცილებელია აშშ-ის ადმინისტრაციის თანხმობა საქართველოში რევოლუციის მოწყობასა და სააკაშვილის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებაზე. ალბათ გესმით, რომ ეს ვერ მოხდება. ხელისუფლება ვალდებულია, დააპატიმროს სააკაშვილი, თუ ის ჩამოვა. ამ ყველაფერს აქვს პროპაგანდისტული ხასიათი.

– სააკაშვილის ჩამოსვლა არ გამოვა?

– ადრე გითხარით, რომ აშშ-ის წინააღმდეგობის გამო სააკაშვილი რიგით წევრადაც არ ჩასვეს 100-კაციან დელეგაციაში, რომელიც უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ახლდა ვაშინგტონში. ამ ვიზიტის შემდეგ ამერიკელ სენატორთა წარმომადგენლობითი დელეგაცია ლინდსი გრემის მეთაურობით ეწვია კიევს. სააკაშვილი ბევრს ეცადა, რომ მათ შეხვედროდა. შრომამ ამაოდ ჩაუარა. სააკაშვილს არც კოლექტიურად და არც ინდივიდუალურად არც ერთი ამერიკელი სტუმარი არ შეხვდა. აშშ-ის ადმინისტრაცია სააკაშვილთან შეხვედრასა და მის დელეგაციაში ჩასმას არ სთანხმდება და მისთვის საქართველოს ჩაბარებას დასთანხმდება?! ეს გამორიცხულია. დელეგაციაშიც იმიტომ არ ჩასვეს, რომ ამას პროპაგანდისტული დატვირთვა მიეცემოდა და რევოლუციური ქაოსისთვის გამოიყენებდნენ. მალე ყველაფერს აეხდება ფარდა.

– შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რევოლუცია ვერ მოხდება, არჩევნებზე კი პირველმეორე ადგილებზე ძველი მოთამაშეები დარჩებიან?

– არჩევნებზე და არჩევნების შემდეგ მოსალოდნელია სიურპრიზები. ნოვაციები არანაირად არ იქნება დაკავშირებული სააკაშვილთან. არჩევნებიდან დაახლოებით ერთ თვეში ხელისუფლება გააკეთებს განცხადებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე. წელს აშშ-ის გარანტორობით საქართველომ მსოფლიოში დადო 20-მდე ხელშეკრულება. ამერიკელები ახორციელებენ მონიტორინგს და იღებენ პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე. ამიტომ, რაც არ უნდა იძახონ ღარიბაშვილმა და კობახიძემ, ასე იქნება.

– „ქართული ოცნება“ მიშელის მემორანდუმსაც არ ასრულებს.

– მოუწევს შესრულება. აშშ ამ დოკუმენტის ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე და გარანტორია. მაქვს ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილმა მისი სრულად შესრულების ვალდებულება აიღო.

ალექსანდრე ხოჯევანიშვილი თეა წულუკიანის წინააღმდეგ

„მაგან თავის საკურატორო სფეროებს მიხედოს“

გიორგი გახარიას პარტიის წევრი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი უარყოფს ინფორმაციას, რომ სუსში ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კურატორი იყო.

როგორც ხოჯევანიშვილმა ფარული მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა, პირველი იქნება, ვინც აღნიშნულ საქმეზე გამოძიებას მაქსიმალურად დაეხმარება.

– ჩემი საქმიანობის პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მე არასდროს ვყოფილვარ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კურატორი. მინდა, თეა წულუკიანს მივმართო, რომ მან თავის საკურატორო სფეროებს მიხედოს, უცებ არ ჩამოეშალოს სხვის ძებნაში.

ეს არის ჩემი კომენტარი და მე პირველი ადამიანი ვიქნები, რომელიც გამოძიებას მაქსიმალურად დაეხმარება და რაც საჭიროა, ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ ყველაფერს აეხადოს ფარდა, – განაცხადა ხოჯევანიშვილმა ტელეკომპანია „ფორმულასთან“ საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა მასალები, რომლებიც, სავარაუდოდ, სუსის მიერ ფარული მიყურადების გზით პოლიტიკოსების, სასულიერო პირებისა და ჟურნალისტების მოსმენასა და თვალთვალს უკავშირდება.

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ფარული მასალების გავრცელების საქმეზე გამოძიება დაწყებულია და „ყველა ვერსიას დაამუშავებენ, მათ შორის იმასაც, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ამ ყველაფერში ჩართული იყვნენ გახარია ან ხოჯევანიშვილი“.

კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით კი ალექსანდრე ხოჯევანიშვილი სუსში ფარულ ოპერატიულ საქმიანობას კურირებდა.

გახარიამ ავსტრიაში ნარკოტესტი გაიკეთა

გიორგი გახარიამ ნარკოტესტი ავსტრიაში გაიკეთა – ამის შესახებ თბილისის მერობის კანდიდატმა ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან საუბრის დროს განაცხადა.

გახარიას თქმით, ნარკოტესტის შედეგს მიღებისთანავე გაასაჯაროებს, თუმცა, მისი თქმით, ამას დიდი დრო დასჭირდება.

– გიორგი გახარიამ ნარკოტესტი ავსტრიაში, ერთ-ერთ ავტორიტეტულ, საერთაშორისო ლაბორატორიაში გაიკეთა. სამხარაულის ბიუროსთან ჩვენ ყველას გვექნება ალბათ კონტაქტი, ესენი ისეთი ტემპით მიდიან.

საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენი პარტია ბიუროს არ უცხადებს ნდობას, თუმცა ამ კონკრეტული ბიუროს გამოყენებით გეგმავდნენ გახარიას წინააღმდეგ პროვოკაციას, – აცხადებს პარტია „საქართველოსთვის“ წევრი ნათია მეზვრიშვილი.

მაკა მახარაძემ გახარიას გუნდი 2 დღეში დატოვა

„მაგარ გაუგებრობაში მოვხვდი“

გიორგი გახარიას პარტიის მხარდამჭერთა ჯგუფი ცნობილმა ბალერინამ მაკა მახარაძემ დატოვა.

ინფორმაცია მან „პრაიმტაიმს“ დაუდასტურა. მისივე თქმით, პოლიტიკა მისი საქმე არ არის და წუხს, რომ ამ გაუგებრობაში მოხვდა.

– აღარ ვარ იქ. ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან მოულოდნელი იყო. არ არის ჩემი საქმე და მთელი ამბავი ეს არის. მე ამ საქმეში არ გამოვადგები არავის. მე ჩემი საქმე და პროფესია მაქვს. უბრალოდ, მოულოდნელად გაუგებარ სიტუაციაში აღმოვჩნდი.

ბევრი ვიფიქრე, ვინერვიულე. არ არის ჩემი საქმე პოლიტიკა. არასდროს გავკარებივარ პოლიტიკას და არც გავეკარები არავითარ შემთხვევაში. არანაირ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. სიმპათიით ვარ მის მიმართ განწყობილი, რა თქმა უნდა, მაგრამ არ არის ჩემი საქმე პოლიტიკასთან გაკარება, – ამბობს ის.

გიორგი გახარიას მხარდამჭერთა ჯგუფის პრეზენტაცია 12 სექტემბერს შედგა, რასაც თავად გიორგი გახარიაც ესწრებოდა.

პარტიამ მხარდამჭერებისთვის გახსნა სპეციალური ვებგვერდი, სადაც ისინი ონლაინრეგისტრაციასაც შეძლებენ.

– გიორგი გახარიას გვერდით დგომა ჩემთვის მართლა პატივია და მიხარია, იმიტომ, რომ დიდი ხანია მომწონს მისი მუშაობა და რასაც აკეთებს. გახარიას მხარდამჭერთა კლუბის ხელმძღვანელად ამირჩიეს და ძალიან მადლობელი ვარ. იმედი მაქვს, უკეთესობისკენ წაგვიყვანს, – თქვა მახარაძემ პრეზენტაციის დღეს.

თბილისის გეზში სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“ კანონდარღვევის ფაქტი გამოვლინდა.

როგორც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნული, კომპანიის მიერ, ერთი სახეობის ტვირთს, წინასწარ რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაზე რისკების მართვის პროგრამის ფარგლებში, წითელი დერეფანი განესაზღვრა.

„საბაჟო დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ, დეკლარაციებისა და თანმხლები დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე წინასწარ რეგისტრირებული დეკლარაცია და ტვირთის შემოსვლისას წარმოდგენილი თანმხლები დოკუმენტაცია) და ტვირთის ფიზიკური დათვალიერების შედეგად, გამოვლენილი იქნა საბაჟო ღირებულების შემცირების ფაქტი, საერთო ჯამში – 35.062,07 ლარის ოდენობით.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პროკურატურა ტვ პირველში შევიდა

პროკურატურა ტვ პირველში შევიდა – საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები ტელევიზიაში იმის დასადგენად მოვიდნენ, როდის და ვის მიერ იქნა გამოგზავნილი ბმული, სადაც სუსის საიდუმლო ფაილები იყო ატვირთული.

პროკურატურის შუამდგომლობის შემდეგ ტვ პირველი დათანხმდა ეჩვენებინა, როდის და საიდან შემოვიდა შეტყობინება ტელევიზიის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე.

არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის, ნოდარ მელაძის, თქმით, პროკურორი ტელევიზიაში წინასწარი შეთანხმებით მივიდა. შოთაძის უწყება ტელეკომპანიას იმ ფაილების გადაცემას სთხოვს, რომლებიც ისედაც ხელმისაწვდომია:

– როცა გამოკითხვაზე ვიყავით, მათ გვთხოვეს, აინტერესებდათ, რა სახით შემოვიდა ჩვენთან ბმული, სადაც ატვირთული იყო ის 58.000 ფაილი და სადაც უკანონო მოსმენების უმძიმესი რეალობა – მღვდლების, მონაზვნების, სასულიერო პირების, პატრიარქის უახლოესი გარემოცვის საუბრების ჩანაწერებია ასახული.

მოკლედ, მათ აინტერესებთ, მთელი ამ უკანონობის კასკადი როგორ მოხვდა ჩვენთან. ჩვენ პროკურატურის წარმომადგენლებს ავუხსენით, რომ ეს ფაილები ჩვენთან კვირას, ფეისბუქის გზით მოხვდა, როცა „ნოდარ მელაძის შაბათის“ ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე შეტყობინება შემოვიდა შესაბამისი ბმულით. პროკურატურას აინტერესებდა ამ ყველაფრის ნახვა, რომ შეედგინათ ოქმი, – განაცხადა ნოდარ მელაძემ.

ტვ პირველის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ამბობს, რომ არხი თანამშრომლობისთვის მზად არის, თუმცა ოფიციალური გვერდის პაროლების შეყვანას პროკურატურის კედლებში ნამდვილად არ აპირებენ:

– ჩვენ ვუთხარით, რომ მზად ვიყავით, ჩვენს კომპიუტერებში გაგვეხსნა ფეისბუქის გვერდი, რადგანაც, არ ვართ დაზღვეულები, რომ პროკურატურაში თუ შევიყვანთ ჩვენ კოდებს, რას მოიმოქმედებენ ისინი.

ჩვენი თანდასწრებით მოხდა დათვალიერება, როგორ შემოვიდა ფაილი. მათი მხრიდან იყო თხოვნა, იქნებ გადაგვეცა ის ფაილები, რომლებიც ჩამოვტვირთეთ. ჩვენ პროკურატურას რამდენჯერმე გავუმეორეთ, რომ ბმული, საიდანაც მოხდა ჩამოტვირთვა, ახლაც ხელმისაწვდომია და ამის გაკეთება მათაც შეუძლიათ, თუმცა ისინი მაინც ჩვენ მიერ ჩამოტვირთულ ფაილებს ითხოვდნენ. კი ბატონო, რა მასალებიც ჩვენ გვაქვს ჩამოტვირთული, მეხსიერების ბარათზე გადავუწერთ და გავატანთ, – განმარტა მელაძემ.

მან ახსნა, თუ რატომ ითანამშრომლა ტვ პირველმა შოთაძის უწყებასთან:

– მინდა, ავხსნა, რატომ ვაკეთებთ ამას. იცით, რომ წყაროს საიდუმლოების დაცვა ჩვენთვის უმთავრესია. გამორიცხულია, წყაროს ვინაობამ ან მისმა მოტანილმა ინფორმაციამ ჩვენგან გაჟონოს. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან ეს არის ღია სივრცეში ატვირთული ფაილები და ახლაც ხელმისაწვდომია ყველასთვის, არ წარმოადგენს არანაირ საიდუმლოებას და არ იძლევა წყაროს იდენტიფიცირების საშუალებას მედიის მხრიდან, ვთანამშრომლობთ ამ შემთხვევაში საგამოძიებო უწყებასთან, რომ შემდეგ არ ჰქონდეთ იმის თქმის საფუძველი, რომ მედიამ მათთან არ ითანამშრომლა.

ჩვენი მიზანია, გამოძიებული იყოს ბოლომდე ის ენით აღუწერელი სიბინძურე, რასაც ეს ხელისუფლება ჩადიოდა. ადამიანების საძინებლებში გუშაგები ჰყავდა. სიზმრებს აკონტროლებდა – ანუ ორი ადამიანი რომ სიზმრებს უყვებოდა ერთმანეთს, ამაზეც ოპერატიული ცნობაა შედგენილი, – თქვა მელაძემ.

შსს-მ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 11 პირი დააკავა, 4 კი პასუხისგებაში მისცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გორსა და ხაშურში 11 პირი დააკავეს, 4 პირის მიმართ კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით დაკავებული არიან: 1985 წელს დაბადებული შ.მ., 1988 წელს დაბადებული ნ. მ. (მეტსახელად „რიჟოვიჩი“), 1963 წელს დაბადებული კ. ნ., 1964 წელს დაბადებული ბ. გ. (მეტსახელად „პაპლიკა“), 1987 წელს დაბადებული ა. ც. (მეტსახელად „მღვდლოვიჩი“), 1990 წელს დაბადებული გ. რ. (მეტსახელად „წერტილა“), 2002 წელს დაბადებული ო. მ. (მეტსახელად „ომო“), 1999 წელს დაბადებული ბ. მ., 1974 წელს დაბადებული გ. გ., 1972 წელს დაბადებული ზ. ნ. და 1996 წელს დაბადებული ბ. ა.

ამავე დანაშაულებისთვის ბრალი წარედგინებათ: 1990 წელს დაბადებულ ა.ა.-ს (მეტსახელად „ბოთე“), 1983 წელს დაბადებულ მ.მ.-ს (მეტსახელად „ჩაინიკა“), 1998 წელს დაბადებულ პ.ბ.-ს (მეტსახელად „პაწე“) და 1989 წელს დაბადებულ შ. ქ.-ს (მეტსახელად „ტყუპა“).

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კომპლექსური გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები აღიარებდნენ „ქურდულ სამყაროს“ და აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმიანობაში. კერძოდ, ისინი სისტემატურად მონაწილეობდნენ „ქურდულ გარჩევებში“ და ე.წ. კანონიერი ქურდების დავალებით, „ქურდული სამყაროს“ მიზნების განსახორციელებლად და მატერიალური სარგებლის მისაღებად, მოქალაქეებს ფულს და ძვირადღირებულ ავტომანქანებს ართმევდნენ.

ბრალდებულები, მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარების, სადავო საკითხების „ქურდული წესების“ შესაბამისად განხილვისა და მათი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, უცხოეთში მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდის – „ტერტერას“ დავალებით, არაერთ საქმეში ჩაერთნენ. „ქურდული გარჩევის“ შედეგად, ბრალდებულები ფინანსურ დავებს „ქურდული სამყაროს“ წესების შესაბამისად წყვეტდნენ და მოდავე მხარეებიდან ერთ-ერთს სადავო თანხის მიტანას აიძულებდნენ.

გარდა ამისა, ბრალდებულებმა – „ქურდული სამყაროს“ წევრებმა, ე.წ. კანონიერი ქურდის – „ტერტერას“ დავალებით, ასევე „ქურდული სამყაროს“ წევრს – მეტსახელად „ჩაინიკას“ თავისი კუთვნილი ავტომანქანა წაართვეს. მოგვიანებით კი, აღნიშნული მანქანის დაბრუნების მიზნით, „ქურდული გარჩევა“ მოეწყო, რომელშიც „ქურდული სამყაროს“ წევრი, მეტსახელად -„რიჟოვიჩი“ მონაწილეობდა. „ქურდული გარჩევის“ შედეგად, ავტომანქანა „ჩაინიკას“ დაუბრუნდა. აღნიშნულმა პირებმა ასევე კუთვნილი ავტომანქანა წაართვეს ერთ-ერთ მოქალაქეს, რომელიც „ქურდული გარჩევის“ შემდეგ, გარკვეული თანხის სანაცვლოდ დაუბრუნეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ჩხრეკებისას ნივთმტკიცებად ამოიღეს: კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ. ასევე, ამოღებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა და 15 ათასი დოლარი, „მაგნუმისა“ და „კოლტის“ სისტემის 2 ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანჟილეტი და საბრძოლო ვაზნები.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილითა და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

„თირკმელი ამოაჭრეს, კუჭი ჰქონდა გახვრეტილი, ნაწლავიც ამოუკერეს“

წყნეთში მასშტაბური სროლის შედეგად 4 ადამიანი დაიჭრა

15 სექტემბერს, ღამით, წყნეთში დიდი სროლა იყო.

როგორც დევნილთა დასახლებაში „პირველების“ კორესპონდენტს უყვებიან, ორმხრივი სროლის შედეგად სულ 4 ადამიანი დაიჭრა, მათ შორის 1 ქალი. მას ბრმა ტყვია მოხვდა.

სისხლიან დაპირისპირებაში 20-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, სროლა კი დევნილთა დასახლებაში 20 წუთის განმავლობაში ისმოდა.

ტვ პირველი დაჭრილი ქალის, ია ქვაჩახიას დედას ესაუბრა. მისი თქმით, ქვაჩახიას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

– თირკმელი ამოაჭრეს, კუჭი ჰქონდა გახვრეტილი, ნაწლავიც ამოუკერეს. გამჭოლი ჭრილობა იყო, – განაცხადა დაჭრილი ქალის დედამ.

შსს-მ გამოძიება სსკ-ის 19-109-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვა/ტარებას გულისხმობს.

მართლწესრიგის ოფიცრებმა ისანი-სამგორის რაიონში მუშაობა დაიწყეს

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, მართლწესრიგის 95 ოფიცერი ისანი-სამგორის რაიონში მუშაობას შეუდგა.

მართლწესრიგის ოფიცრები აქამდე, თბილისის მასშტაბით, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთისა და ძველი თბილისის რაიონებში მუშაობდნენ. ამ დროისთვის, თბილისის მასშტაბით სულ 275 მართლწესრიგის ოფიცერი მუშაობს.

მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა – სულხან თამაზაშვილმა, მოადგილესთან – თეიმურაზ კუპატაძესთან და ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს უფროსთან – გურამ ნაცვლიშვილთან ერთად მიულოცა.

მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია. მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია მოიცავს ისეთი მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია-მოვალეობებში, ასევე, შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

ოფიცრების შერჩევა მოხდა როგორც მოქმედი თანამშრომლებიდან, ასევე, საკონკურსო წესით. კონკურსში გამარჯვებულმა კანდიდატებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეთვიანი ინტენსიური პროფესიული სწავლება გაიარეს.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ჯერ დედაქალაქის მასშტაბით, ყველა უბანში, ხოლო მოგვიანებით, ეტაპობრივად მთელ საქართველოში დაინერგება.

გომელაური ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ კარლ ჰარცელთან, ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებსა და საელჩოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ავსტრიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვის, პოლონეთის, შვედეთის სამეფოსა და სლოვენიის ელჩები, აგრეთვე, ბელგიის სამეფოს, ბულგარეთის, ესპანეთის სამეფოს, საბერძნეთის, უნგრეთისა და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოების წარმომადგენლები.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს 2 ოქტომბრის მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანაა, ქვეყნის მასშტაბით მართლწესრიგის დაცვა და არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ, უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა. მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არჩევნებთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპელ პარტნიორებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე წლის 5-6 ივლისს თბილისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სამინისტროს მიერ ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე 2 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა-ფლობის, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და თაღლითობის ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების სახელით, უკანონოდ მოპოვებული 886.762 ლარის ღირებულების ხის მასალისათვის კანონიერი სახის მიცემის, მისი ლეგალიზაციისა და დამატებითი ღირებულების გადასახადში უკანონო ჩათვლის მიღების მიზნით, ურთიერთშორის გაწერეს ყალბი საგადასახადო დოკუმენტები ხის მასალის თითქოსდა მიწოდება-შესყიდვის თაობაზე, რის შემდეგაც აღნიშნული ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, უკანონოდ მოპოვებული ხის მასალა გატანილ იქნა საზღვარგარეთ, რა გზითაც ბრალდებულებმა მიიღეს დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი და პარალელურად შეიქმნეს 94.638 ლარის ოდენობის ყალბი აქტივი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე, 210-ე, 185-ე, 194-ე და 180-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით.

აშშ, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია თავდაცვის პაქტს ქმნიან

გაერთიანებულმა სამეფომ, შეერთებულმა შტატებმა და ავსტრალიამ განაცხადეს, რომ უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობას იწყებენ, რომელიც ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის მზარდი ზეგავლენის აღსაკვეთად მოწინავე ტექნოლოგიების გაზიარებას ითვალისწინებს.

უსაფრთხოების საგანგებო პაქტის, აუკუსის, ფარგლებში, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა სკოტ მორისონმა დააანონსეს, შეერთებული შტატები და ბრიტანეთი ავსტრალიას ბირთვული წყალქვეშა ნავების განლაგების ტექნოლოგიითა და შესაძლებლობით უზრუნველყოფენ.

– აუკუსის ფარგლებში ვიღებთ ვალდებულებას, დავეხმაროთ ავსტრალიას სამეფო ფლოტისთვის ბირთვული წყალქვეშა ნავების მოპოვებაში. ეს შესაძლებლობა ხელს შეუწყობს სტაბილურობას ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში და მხარს დაუჭერს ჩვენს საერთო ღირებულებებსა და ინტერესებს, – ნათქვამია ლიდერების ერთობლივ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ ავსტრალია ყველა ვალდებულებას, როგორც არაბირთვული სახელმწიფო, ისე შეასრულებს.

ლიდერების თქმით, თავდაცვის პაქტი ორიენტირებული იქნება ასევე კიბერშესაძლებლობებზე, ხელოვნურ ინტელექტსა და „დამატებით წყალქვეშა შესაძლებლობებზე“.



საფრანგეთში 3.000 აუცრელ ექიმს უფლებამოსილება შეუჩერეს

საფრანგეთმა ჯანდაცვის 3.000 მუშაკს კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინით აუცრელობის გამო უფლებამოსილება შეუჩერა.

საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრ ოლივერ ვერანის თქმით, უფლებამოსილების შეჩერება სამედიცინო პერსონალისთვის მხოლოდ დროებითია. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ის ვაქცინაციის პროცესის ტემპის აჩქარების მექანიზმად ხედავს.

– ადამიანები ხედავენ, რომ ბრძანება ვაქცინაციის შესახებ სიმართლეს შეესაბამება. სწორედ ამის გამო უამრავი მათგანი აცრას სთანხმდება, – განმარტა ჯანდაცვის მინისტრმა.

ახალი კანონის თანახმად, რომელიც ძალაში ოთხშაბათს შევიდა, სამედიცინო სექტორის თანამშრომლებისათვის ვაქცინაცია სავალდებულო გახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება 2.7 მილიონ ადამიანს ეხება, რომლებიც ვალდებული არიან დაადასტურონ, რომ ვაქცინის მინიმუმ ერთი დოზა გაკეთებული აქვთ.

საფრანგეთი ვაქცინირებული მოსახლეობის მაჩვენებლით მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. სრულიად აცრილია სრული მოსახლეობის 72.4 %. ქვეყანამ ასევე 12 წლის ზემოთ მყოფი ბავშვების იმუნიზაციის პროცესი და რისკჯგუფში მყოფი ადამიანების „ბუსტერ“ დოზით რევაქცინაცია დაიწყო.

ჩინეთში 6-ბალიანი მიწისძვრა მოხდა

ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში, ქალაქ ლუჟოუს ლუსიანის მუნიციპალიტეტში, 6.0-ბალიანი მიწისძვრა მოხდა, რის შედეგადაც დაიღუპა მინიმუმ 2 და დაშავდა 3 ადამიანი.

მიწისძვრამ, რომელიც ადგილობრივი დროით დილის 4:33 საათზე მოხდა, რამდენიმე სახლი დაანგრია.

მიწისძვრა 10 კილომეტრ სიღრმეში დაფიქსირდა.

დაზარალებულ ტერიტორიებზე სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს.

შვედეთში რუსეთის ჯაშუში გაასამართლეს

შვედეთის სასამართლომ გაასამართლა ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მხილებულ იქნა, როგორც რუსეთის ჯაშუში.

მსტოვრის გვარი არ სახელდება. ნათქვამია მხოლოდ ის, რომ აგენტი 3 წლის განმავლობაში რუსეთს საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნიდერლანდების მეფე ოქროს ეტლის გარეშე დარჩა

ნიდერლანდების მეფე ვილემ-ალექსანდერი საზოგადოებაში ატეხილი კამათის გამო ოქროს ეტლის გარეშე დარჩა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის მეთაური ჰააგაში პარლამენტში, სადაც მას ქვეყნის ბიუჯეტი უნდა გამოეცხადებინა, ეტლით არ მისულა. აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიცია ყოველ წელს სრულდებოდა სექტემბრის მესამე სამშაბათს, პრინცის დღეს.

ცნობილი გახდა, რომ ზემოთ ხსენებული სატრანსპორტო საშუალება ამსტერდამის მუზეუმში განათავსეს, რაც ქვეყანაში დაწყებულმა კამათმა გამოიწვია. მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ აქტივისტებმა ეტლის განადგურება მოისურვეს მასზე გამოსახული პანოს „კოლონიის თაყვანისცემა“ გამო. მასზე შავკანიანი ქვეშევრდომები თეთრ ბატონს, რომელიც ჰოლანდიას განასახიერებს, ძღვენს მიართმევენ.

ინციდენტის შემდეგ სამეფო ოჯახმა განაცხადა, რომ ისტორიული ძეგლი მუზეუმში იქნება რესტავრაციაზე.

ტყუპ დებს, რომლებიც მომღერალს ჰგვანან, მისი ფანები ემუქრებიან

ტყუპმა დებმა კანადის პროვინცია ონტარიოდან, რომლებიც მომღერალ არიანა გრანდეს ჰგვანან, დაიჩივლეს, რომ მისი ფანები ემუქრებიან.

20 წლის მაკენა და ტეილორ პატერსონ-ჰოლებმა სოციალურ ქსელებში საკუთარი ფოტოსურათების და ვიდეოების გამოქვეყნება ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დაიწყეს, ხოლო 2019 წლიდან მათ ცნობილი მომღერლის სტილის მიბაძვა დაიწყეს. დები იმდენად ჰგვანან პოპ-ვარსკვლავს, რომ მოდური ბრენდები მათ სარეკლამო კომპანიებში მონაწილეობას სთავაზობენ.

თავად გოგონები კი თვლიან, რომ სულაც არ ბაძავენ მომღერალს და, უბრალოდ, ის მათში აღმაფრენას იწვევს.

– ბევრს უთქვამს, რომ ძალიან ვგავართ არიანა გრანდეს, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსგავსება არც ისე დიდია, – განაცხადა ტეილორმა.

ამის მიუხედავად, მომღერლის ფანებმა კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს გოგონებს.

– არიანას ზოგიერთი ფანი ვერ გვიტანს, ვეჯავრებით. ისინი ანგარიშსწორებით გვემუქრებიან და ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ მართლები არ ვართ, – აღნიშნა ტეილორმა.

მეთევზეებმა ღორისსახიანი ზვიგენი დაიჭირეს



იტალიის კუნძულ ელბაზე მეთევზეებმა უცნაური არსება დაიჭირეს, რომელსაც ღორის სახე და ზვიგენის ტანი აქვს.

გაირკვა, რომ ანკესზე წამოეგო ჩვეულებრივი ცენტრინა, რომელიც ასევე ზვიგენი-ღორის სახელითაცაა ცნობილი და რომელიც გადაშენების პირასაა. ის წითელ წიგნშია შეტანილი.

– ეს თევზი საკმაოდ ხშირად გვხვდება ელბაზე, თუმცა ამის მიუხედავად კვლავაც გაკვირვებას იწვევს ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ტურისტებში. მისი აკვარიუმში ჩასახლებაც კი ვცადე, მაგრამ ამაზე მალევე ვთქვი უარი, ვინაიდან დავრწმუნდი, რომ ეს სახეობა ტყვეობაში ცხოვრებას ვერ ეგუება, – განაცხადა ადგილობრივი ოკეანორიუმის თანამშრომელმა იური ტიბერტომ. მან ასევე დაამატა, რომ თევზს ღორთან ამსგავსებენ არა მხოლოდ მათი ცხვირპირის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ის ღორის ღრუტუნის მსგავს ხმებს გამოსცემს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აჭარაში სტადიონების მშენებლობა იწყება

საქართველოს რაგბის კავშირისა და საქართველოს მთავრობის მიერ ცოტა ხნის წინ დაანონსებული 100 ახალი სარაგბო მოედნების მშენებლობის პროექტის ფარგლებში, აჭარის რეგიონში წლის ბოლომდე 3 მოედნის მშენებლობა დაიწყება.

პირველი, ვინც ამ ინიციატივას გამოეხმაურა, აჭარის მთავრობა გამოდგა და მშენებლობები ქობულეთის რაიონში, სოფელ ხუცუბანსა და დაბა ჩაქვში დაიწყება, რასაც შუახევის რაიონში, სოფელ ფურტიოში მოჰყვება გაგრძელება. უახლოეს მომავალში მშენებლობები ბათუმში, მე-18 სკოლის ტერიტორიაზე, გონიოსა და ქედაში იგეგმება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოში დაგეგმილი საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მშენებლობა, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში უმასპინძლებს ბავშვებს როგორც საქართველოს ყველა კუთხიდან, ასევე სხვადასხვა ქვეყნებიდან.

იოსებ ტყემალაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

– უკვე თამამად შეგვიძლია გაცნობოთ აჭარაში 3 მნიშვნელოვანი პროექტის დაწყება, რომელიც აჭარის მთავრობის ხელშეწყობით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ აჭარის რეგიონი პირველია, რომელიც ძალიან მოკლე დროში ჩაერთო რაგბის კავშირისა და საქართველოს მთავრობის მიერ ახლახან დაანონსებულ 100 მოედნის მშენებლობის პროექტში.

ამ ეტაპზე უკვე დაგეგმილია და მზადდება ტენდერები ფურტიოს, ხუცუბანისა და ჩაქვის მოედნების მშენებლობისთვის, რომლებსაც მიმდინარე წელს ჩაეყრება საფუძველი. უმოკლეს ვადებში ამ პროექტებს შეემატება ახალი ლოკაციები აჭარის ტერიტორიაზე, სადაც მომდევნო წლებში აშენდება სარაგბო ინფრასტრუქტურა და ქვეყნის მასშტაბით ხელს შეუწყობს რაგბის კიდევ უფრო მეტად დამკვიდრებასა და განვითარებას.

დე ლაურენტისი: „ფეხბურთის წესებში სერიოზული ცვლილებების შეტანაა საჭირო“

„სხვა შემთხვევაში მაყურებელს დავკარგავთ“

ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგას დიდი დღე არ უწერია. ევროტურნირები საფეხბურთო კლუბების მეპატრონეებს აღარ აკმაყოფილებთ. იტალიური „ნაპოლის“ პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი მათი რეფორმირების მომხრეა, ამასთან, საკუთარი ხარჯებით და მზად არის, ახალი რეფორმისთვის 10 მილიარდი ევროც კი გაიღოს.

აურელიო დე ლაურენტისი:

– სისტემა ვეღარ მუშაობს და ევროტურნირებს კლუბებისთვის საკმარისი შემოსავალი აღარ შემოაქვს. უკვე გაუმართლებელი გახდა ჩემპიონთა და ევროპის ლიგაზე მონაწილეობის მიღება. საჭიროა ახალი ტურნირი, სადაც მეტი ფულის დახარჯვა იქნება საჭირო. ამაზე უნდა დაილაპარაკონ კლუბებმა ერთმანეთთან და მოიგონონ ახალი, ყველასათვის უფრო თანამედროვე და მომგებიანი ტურნირი.



დე ლაურენტისის რეფორმა, პარალელურად, ევროპული ჩემპიონატების რეფორმასაც მოიცავს. საუბარია გუნდების შემცირებაზე. აი, ეს იქნება დე ლაურენტისის იდეისთვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი, რადგან ეროვნულ ჩემპიონატებში გუნდების შემცირება, თავისთავად, ფინანსების შემცირებასაც იწვევს.

– ჩვენთვის აუცილებელია მატჩების რაოდენობის შემცირება. ეს მთელი ევროპის მასშტაბით, უმაღლესი დივიზიონების გუნდების რაოდენობის შემცირებით უნდა მოხდეს.

დე ლაურენტისი არ ფიქრობს ახალი ტურნირის ჩაკეტვას და ამბობს, რომ დემოკრატიული უნდა იყოს.

– საჭიროა დემოკრატიული შესვლის სისტემით ევროპული ლიგის შექმნა. ეს დაფუძნებული უნდა იყოს შიდა შეჯიბრებებზე გუნდების მიღწევებით. პროექტი შევისწავლე და მზად ვარ, 10 მილიარდი ევრო შევიტანო. ჩვენ მზადყოფნა და სრული დამოუკიდებლობა გვჭირდება.

დე ლაურენტისი განსაკუთრებულ პრობლემას ხედავს თანამედროვე ტექნოლოგიებში, რომელმაც ფეხბურთი, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა და, თუ რამე ახალი არ შეიქმნა, მსოფლიოს ნომერ პირველ სპორტის სახეობას საფრთხე ემუქრება.

– თუ თამაშის წესებს არ შევცვლით და სანახაობას უკეთესს არ გავხდით, ახალგაზრდები ზურგს გვაქცევენ და ფეხბურთი ჩვენი ცხოვრების ცენტრალური ნაწილი აღარ იქნება. ჩემი გამოკვლევები აჩვენებს, რომ 8-დან 25 წლამდე ასაკის ადამიანები აღარ უყურებენ ფეხბურთს და სმარტფონებით თამაშს ანიჭებენ უპირატესობას, რომელმაც სრულად შეცვალა ჩვენი ბავშვები.

არ ვამბობ, რომ ფეხბურთის სტადიონზე ყურების ჩვეულება გაქრება, მაგრამ ახლა მხოლოდ „ვირტუალური სტადიონი“ გვაქვს, რომელსაც მილიარდობით ადამიანის მიზიდვა შეუძლია, რათა ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშონ. ვინ იცის, შევძლებთ კი მათ მსოფლიოს ყველაზე დიად და გავლენიან სპორტში დაბრუნებას?

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს პრეზიდენტმა კალათბურთის მშენებარე დარბაზი მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა 2022 წელს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მშენებარე ახალი, თანამედროვე სტანდარტების საკალათბურთო დარბაზი დაათვალიერა.

დარბაზის მშენებლობის პროცესი საქართველოს პრეზიდენტს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, გენერალურმა მდივანმა და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელმა გააცნეს.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ერთობლივი კოორდინირებული თანამშრომლობით, საქართველომ მომდევნო ევრობასკეტის მასპინძლობის უფლება მოიპოვა და ახალი, თანამედროვე სტანდარტების მქონე და უახლესი ინვენტარით აღჭურვილი საკალათბურთო დარბაზი 10.000-ზე მეტ მაყურებელს დაიტევს.

დარბაზის მშენებლობას მონიტორინგს უწევს საერთაშორისო კალათბურთის ფედერაცია (ფიბა). 2021 წლის დეკემბერში საქართველოში ჩატარდება ფიბას ბორდის, აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომლის წევრები საბოლოოდ შეაფასებენ ევრობასკეტისთვის ახალაშენებულ დარბაზს.

2022 წლის თებერვლიდან ახალ დარბაზში დაგეგმილია მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპების, 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისა და ევრობასკეტის ჩატარება.

ელენე ილურიძე კარიერას ამერიკაში გააგრძელებს

საქართველოს ქალ კალათბურთელთა ნაკრების წევრი ელენე ილურიძე კარიერას აშშ-ის კოლეჯების ლიგის წევრ კლუბ ტაილერ პეტრიოტსში გააგრძელებს.

ოკეანის გაღმა, კოლეჯების ლიგაში ილურიძე ერთადერთი ქართველი კალათბურთელი არ იქნება. შეგახსენებთ, რომ ნატალია ოთხმეზური კასპერის კოლეჯის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რის შემდეგაც კონტრაქტი უფრო ძლიერ სამხრეთ იუტის კოლეჯთან გააფორმა.

რებეკა ალვიდრესი, პეტრიოტსის მთავარი მწვრთნელი:

– ელენე შრომისმოყვარე კალათბურთელია. მოხარული ვართ იმ მცველის დამატებით, რომელსაც თამაში რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია. ელენეს პლუსია მისი საერთაშორისო გამოცდილებაც. ილურიძის შემატებით გუნდის თავდაჯერებულობა აშკარად გაიზრდება.

21 წლის ილურიძემ 2016 წელს ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ც დივიზიონში ითამაშა, სადაც მისი საშუალო მონაგარი 9.2 ქულა, 1.4 მოხსნა და 3.0 პასი იყო, 2017 წლის ევროპირველობის ბ დივიზიონში კი საშუალოდ 3.4 ქულას, 2.8 მოხსნასა და 1.1 პასს აგროვებდა.

საქართველო სექტემბერში დაქვეითდა

სექტემბერში კატასტროფულად ჩატარებული მატჩების შემდეგ საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ფიფას რეიტინგში 5 ადგილით დაქვეითდა. ახლა საქართველოს ფიფას რეიტინგში 1.240 ქულა აქვს და 96-ე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა შინ კოსოვსთან (0:1), და ორჯერ სტუმრად, ესპანეთთან (0:4) და ბულგარეთთან (1:4) წააგო.

სანიოლი გუნდის მდგომარეობის გამოსწორებას ოქტომბერში შეეცდება, როდესაც ჯერ შინ საბერძნეთს (46-ე ადგილი), ხოლო შემდეგ სტუმრად კოსოვოს (109-ე) ეთამაშება.

მოწინავე ათეულში რამდენიმე ცვლილება მოხდა: ინგლისის ნაკრებმა საფრანგეთს გადაასწრო და მე-3 ადგილზეა, ხოლო პორტუგალიამ ესპანეთს გაუცვალა პოზიცია. ათეულში შევიდა დანიის ნაკრები, რომელმაც აშშ გამოაძევა.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: 1.ბელგია – 1832.33 ქულა; 2.ბრაზილია – 1811.73; 3.ინგლისი – 1755.44; 4.საფრანგეთი – 1754.31; 5.იტალია – 1735.73; 6.არგენტინა – 1725.31; 7.პორტუგალია – 1674.9; 8.ესპანეთი – 1673.68; 9.მექსიკა – 1666.19; 10.დანია – 1658.49.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

წლების განმავლობაში ამზადებს ბუნებრივ პროდუქტებზე წამლებს, მალამოებს, ლოსიონის, ორგანიზმის გასაწმენდ ნაყენებს.

ყველა წამალი არის ბუნებრივი და მორჩენის 100%-იანი გარანტიით.

ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მკურნალობა ხდება უშუალოდ დაავადებისთვის დამზადებული სხვადასხვა მალამოთი და ლოსიონით.

მოგვრჩენთ:

თმის ცვენა – მის მოსარჩენად საჭიროა ლოსიონისა და მალამოს გამოყენება;
ტილების მოსაშორებლად – ლოსიონი;
კოლოსა და მწერების ნაკბენისთვის – მალამო, რომელსაც აქვს სწრაფი ეფექტი;
ნაწოლებისთვის – მალამო, ლოსიონი;
ჰაიმორიტისთვის – ლოსიონი, მალამო;
დამწვრობისთვის – ლოსიონი, მალამო;
ბუასილისთვის – სანთლები, მალამო;
მარილებისთვის – ორგანიზმის გამწმენდი დასალევი სითხე;
სოკოვანი დაავადებისთვის – აბაზანები, მალამო;

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სენსაციური შერიფი და შთამბეჭდავი აიაქსი

ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მეორე დღე არანაკლებ საინტერესო და სენსაციური გამოდგა, პლუს, ბევრად მეტი გოლი გავიდა, ვიდრე პირველ სათამაშო დღეს.

ა ჯგუფი

მანჩესტერ სიტი-ლაიფციგი 6:3

მანჩესტერი. ეტიჰადი
1:0 აკე (16), 2:0 მუკიელე (28სკ), 2:1 ნკუნკუ (42), 3:1 მარეზი (45ჯ), 3:2 ნკუნკუ (51), 4:2 გრილიში (56), 4:3 ნკუნკუ (73), 5:3 კანცელო (75), 6:3 ჟეზუში (85)

გაძევება: ანხელინო (ლაიფციგი)

მანჩესტერ სიტიმ საკუთარ მოედანზე გოლუხვ მატჩში ლაიფციგი 6:3 დაამარცხა. მასპინძელთა მხრიდან გოლები სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა და მუდმივად 2 ბურთით წინ იყო. ლაიფციგმა ნკუნუს ჰეთ თრიკით უპასუხა, რომელიც პერიოდულად და მცირე ხნით სხვაობის ერთ ბურთამდე დაყვანას ახერხებდა.

ბრიუგე-ჰსჟ 1:1

ბრიუგე. სანდრო შერერი
0:1 ერერა (15), 1:1 ვანაკენი (27)

ბრიუგეში მოხდა ის, რასაც საფეხბურთო სამყარო დიდი ხანი ელოდა – მოედანზე ერთდროულად მესინეიმარი-მბაპეს შემტევი ტრიო გამოჩნდა. თუმცა სამეულის დებიუტი მაინცდამაინც დამაჯერებელი ვერ გამოდგა. პსჟ-მ ქულებიც დაკარგა და კილიან მბაპეც, რომელმაც ტრავმა მიიღო და მე-2 ტაიმის დასაწყისში შესაცვლელი გახდა.

მანამდე ანგარიში 1:1 იყო. ანდერს ერერამ სტუმრები დააწინაურა, რასაც ბელგიელმა ვანაკენმა უპასუხა, საკუთარ გუნდს ქულა მოუტანა, ხოლო მეტოქეს ყველასთვის მოულოდნელად – დააკარგვინა.

ბ ჯგუფი

ლივერპული-მილანი 3:2

ლივერპული. ენფილდი
1:0 ტომორი (9სკ), 1:1 რებიჩი (42), 1:2 დიასი (44), 2:2 სალაჰი (48), 3:2 ჰენდერსონი (69)

მე-14 წუთზე სალაჰმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

„ენფილდი“ ისევ იქცა საფეხბურთო სამყაროს ცენტრში, სადაც ლივერპულმა და მილანმა ნამდვილი ტრილერი შემოგვთავაზეს.

მერსისაიდული გუნდი მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში უტევდა მილანს, გოლიც გაიტანა, პენალტიც გააცუდა, კიდევ უამრავი მომენტი შექმნა. ყველა ფიქრობდა, რომ მასპინძლები მეტოქეს იოლად დაჯაბნიდნენ, მაგრამ...

ტაიმის მიწურულს მილანი ორჯერ გაიქცა კონტრშეტევაზე და ანტრაქტისთვის უკვე იტალიური გუნდი იგებდა – 2:1.

შესვენების შემდეგ სალაჰმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 69-ე წუთზე კაპიტანმა ჯორდან ჰენდერსონმა შესანიშნავი დარტყმით იურგენ კლოპის გუნდს 3 ქულა მოუტანა.

ატლეტიკო-პორტუ 0:0

მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო

გაძევება: მბემბა (პორტუ)

ტურის ერთადერთი უგოლო მატჩი მადრიდში გაიმართა, სადაც ატლეტიკო პორტუს დაუხვდა. ფავორიტად მასპინძლები ითვლებოდნენ, მაგრამ ეს თამაშზე არ ასახულა. მეტიც, პორტუ მეტოქეზე უფრო დამაჯერებელი ჩანდა. მატჩის მიწურულს გოლიც შეაგდო, მაგრამ გაუუქმეს.

ც ჯგუფი

სპორტინგი-აიაქსი 1:5

ლისაბონი. ხოსე ალვალადე
0:1, 0:2 ალერი (2, 9), 1:2 პაულინიო (33), 1:3 ბერგჰუისი (39), 1:4, 1:5 ალერი (51, 63)

ამ ჯგუფში შესანიშნავი სანახაობა შემოგვთავაზა აიაქსმა, რომელმაც სტუმრად 5:1 გაანადგურა სპორტინგი.

ამსტერდამული გუნდი საკუთარ, ლამაზ სტილში უტევდა მეტოქეს, ხოლო დამაგვირგვინებელ ფაზაში შესანიშნავად ირჯებოდა ალერი, რომელმაც პოკერი შეასრულა. აიაქსის კიდევ ერთი გოლი ბერგუისის ანგარიშზეა.

პორტუგალიის ჩემპიონმა კი მხოლოდ ერთი პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა და ისიც აიაქსის მეკარეს უნდა უმადლოდეს, თორემ მშრალი ანგარიშით განადგურდებოდა.

ბეშიქთაში-დორტმუნდი 1:2

სტამბული. ვოდაფონე
0:1 ბელინგემი (20), 0:2 ჰოლანი (45), 1:2 მონტერო (90)

პირველ ტაიმში დორტმუნდი ტოტალურ უპირატესობას ფლობდა და შესვენებაზე კომფორტული ანგარიშით გავიდა. 18 წლის ბელინგემმა ჯერ გოლი გაიტანა, ხოლო შემდეგ ერლინ ჰალანდს გაატანინა.

შესვენების შემდეგ ბეშიქთაში ცდილობდა ანგარიშის შეცვლას და ამის რამდენიმე კარგი მცდელობაც ჰქონდათ, მაგრამ გოლის გატანა მხოლოდ მატჩის მიწურულს, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხეს.

დ ჯგუფი

ინტერი-ჰაერი 0:1

მილანი. სან სირო
0:1 როდრიგო (89)

არა მარტო ჯგუფის, ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ახლოს იყო უგოლოდ დასრულებასთან, მაგრამ რეალმა როდრიგოს გვიანი გოლით იმარჯვა.

არადა, თითქოს რეალს მოსაგები არაფერი ჰქონდა, რადგან ხიფათს უფრო მასპინძლები ქმნიდნენ და კარშიც უფრო მეტჯერ დაარტყეს, მაგრამ მათი ყველა მცდელობა ამაო გამოდგა.

შერიფი-შახტარი 2:0

ტირასპოლი. სპორტარენა
1:0 ტრაორე (16), 2:0 იანსანე (62)

ესეც სენსაცია – მოლდავურმა შერიფმა ჯერ ჯგუფში შესვლით გააკვირვა ყველა, ხოლო შემდეგ საკუთარ მოედანზე დონეცკის შახტარი 2:0 დაამარცხა.

გოლები აფრიკული გამოდგა – უკრაინელებს მალელმა ტრაორემ და გვინეელმა იანსანემ გაუტანეს.

ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება მოლდავურ ზღაპარს ჩემპიონთა ლიგაში.

შედეგები

15 სექტემბერი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბეშიქთაში-დორტმუნდი	1:2
შერიფი-შახტარი	2:0
ატლეტიკო-პორტუ	0:0
ბრიუგე-ჰსჟ	1:1
ინტერი-რეალი	0:1
ლივერპული-მილანი	3:2
სიტი-ლაიფციგი	6:3
სპორტინგი-აიაქსი	1:5

უეფას ევროპის ლიგა

სპარტაკი-ლეგია	0:1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ფულემი	1:4
ბრისტოლი-ლუთონი	1:1
ქოვენთრი-კარდიფი	1:0
ნოტინგემი-მიდლსბრო	0:2
სტოკი-ბარნსლი	1:1
სუონსი-მილუოლი	0:0

ჯროსვოოდი ბ



შვეულად: 1. ონორე დე ბალზაკის მოთხრობა; 2. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 3. ბელგიური ავიაკომპანია; 4. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 12. უღრან ტყეებში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა; 14. ტროპიკული მცენარეებისგან მიღებული მუქი ლურჯი საღებავი; 16. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 18. ყველაზე დიდი ქალაქი ჩინეთში; 20. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ბრიყვი, გაუზრდელი, უხეში ადამიანი; 10. დონეცკის „შახტარის“ ქართველი ფეხბურთელი; 11. ქუჩაში მოწყობილი სახანძრო ონკანის სვეტი; 15. მოდუღებული წითელი ღვინისგან დამზადებული სასმელი; 17. ქართულ ბალეტ „გორდას“ მუსიკის ავტორი; 19. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 21. ბარსელონის ძველი სახელწოდება; 22. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. მარსელი; 2. აყირო; 3. სკანსენი; 4. მურტალო; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. თარხანი; 14. ლოზანა; 15. ზარა; 17. ფეოლა; 18. ზღვა.

თარაზულად: 6. ბაყაყი; 9. აკაპულკო; 8. ასკერი; 10. ტარტუ; 11. როსტომიანი; 13. კლაუზულა; 16. სადაფი; 19. ღრმაღელე; 20. ზაქათალა.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. წაღვერი; 2. ხამურაბი; 3. გლაქსო; 4. ყბედი; 5. ჯაყელები; 8. ფოლკლორი; 12. მური; 13. დიფუზორი; 14. ტიბეტი; 16. ბაჯაღლო; 18. კოვბოი; 20. ერბო.

თარაზულად: 6. მაჭახელა; 7. კოლუმბია; 8. ფატუმი; 9. ბერიო; 10. მამისონი; 11. ვალმარტი; 15. ჰიპერტონია; 17. ფიქცია; 19. ტელევიზია; 21. კოსტავა; 22. ციტოლოგია; 23. ბოღლიწო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1141	ევრო — 3.6628
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3049	100 რუსული რუბლი — 4.2956

ამინდის პროგნოზი 17 სექტემბრისათვის

გვარდიოლა: „ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ლაიფციგთან მოგების შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის თამაშით კმაყოფილია, თუმცა დაცვის ხაზში ხარვეზები არსებობს.

გვარდიოლას აზრით, სიტიმ უნდა შეძლოს და ეს ასპექტი გამოასწოროს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ტიტულების მოგება გაუჭირდება:

– 3 გოლის გაშვება საკუთარ მოედანზე ცუდი შედეგია, მაგრამ, მეორე მხრივ, შემიძლია ვთქვა, რომ შეტევაში კარგი თამაში ვაჩვენეთ და ეს იმედს მაძლევს, რომ წელს წარმატებული სეზონი გვექნება.

თორნიკე ოქრიაშვილს კორონავირუსი არ დაუდასტურდა

აპოელის ქართველ ლეგიონერ თორნიკე ოქრიაშვილს კორონავირუსი არ დაუდასტურდა. ტესტირება ოქრიაშვილმა მას შემდეგ ჩაიტარა, რაც ერთ-ერთი შეხვედრის დროს შეუძლოდ გახდა და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

ოქრიაშვილი, უბრალოდ, მოიწამლა და უკვე გამოჯანმრთელდა.

კილიან მბაპემ კოჭის ტრავმა მიიღო

პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ბრიუგესთან დაპირისპირების დროს კოჭის ტრავმა მიიღო და მეორე ტაიმის დასაწყისში ის მაურო იკარდიმ შეცვალა. როგორც აღმოჩნდა, მბაპეს მსგავსი ტრავმა ადრეც აწუხებდა და, შესაძლოა, მას ეს დაზიანება გაუმიზეზდა, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ კილიანს ქირურგიული ჩარევაც კი დასჭირდეს.

ამ შემთხვევაში მას საკმაოდ დიდი პერიოდის გამოტოვება მოუწევს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გიორგი ცხადაძე „ფორმულაზე“ დილის გადაცემას წაიყვანს

მსახიობი და მომღერალი გიორგი ცხადაძე ტელეკომპანია „ფორმულაზე“ დილის გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი გახდა. მანამდე გიორგი სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებაზე ამზადებდა რეპორტაჟებს:

– ასეთი სიახლეა: ახალი სეზონიდან მეც ერთ-ერთი თანაწამყვანი გავხდი. ძალიან მიხარია ახალი გამოწვევის მიღება. ჯერ შეგუებისა და გაცნობის ეტაპზე ვარ. თქვენ კი გვიყურეთ ყოველ სამუშაო დღეს დილის 8-დან 12 საათამდე „დილა ფორმულაზე“. კარგი განწყობა, საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბები ჩვენზეა.

ასტროპროგნოზი

17 სექტემბრისათვის

ვერძი – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. ** კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემმყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ჩემ მეზობელ გოგის კიბო ჰქონია.

– ვაიი! საცოდავი კიბო...

•••

ერთი კაცი ნაცნობს ეტრაბახება:

– რასაც თავში ჩავიდებ, ყველაფერი მახსოვს!

– ჩემი ვალი რომ გაქვს, ის რატომ არ გახსოვს?

– ეგ თავში კი არა, ჯიბეში ჩავიდე.

•••

აფრიკაში სანადიროდ ჩასული ქართველის დღიურს იპოვნიან და კითხულობენ:

– პირველი დღე, ვეძებთ ლომს.

– მეორე დღე, ვეძებთ ლომს.

– მესამე დღე, ვეძებთ ლომს.

– მეოთხე დღე, ვავა